

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის,
ზურაბ ბერძენიშვილის
და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის
ედუარდ მარიკაშვილის
მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. II ჩიხი, კ. 4-8, ბ. 6
მობ: 577398359

საქმე N

სააპელაციო საჩივარი

(თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლის, ვალერიანე ფილიშვილის 2019 წლის 21 ნოემბრის ზურაბ ბერძენიშვილის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის დამრღვევად ცნობისა და მისთვის სანქციის სახით 7 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ დადგენილების გაუქმებისა და ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ)

მოთხოვნა: გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული კოლეგიის მოსამართლის, ვალერიანე ფილიშვილის 2019 წლის 21 ნოემბრის დადგენილება ზურაბ ბერძენიშვილის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობისა და მისთვის სანქციის სახით 7 დღით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ და შეწყდეს ზურაბ ბერძენიშვილის მიმართ ადმინისტრაციული წარმოება.

დასაბუთება: მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 18 ნოემბერს ზურაბ ბერძენიშვილი იმყოფებოდა პარლამენტის შენობის მიმდებარედ, 9 აპრილის ქუჩაზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე, რა დროსაც ადმინისტრაციული წესით დააკავეს კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელმა. მის მიმართ შედგენილი N000090593 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელი ამტკიცებს:

„2019 წლის 18 ნოემბერს ქ. თბილისში 9 აპრილის ქუჩაზე სადაც იმართებოდა საპროტესტო აქცია მოქ. ზურაბ ბერძენიშვილი არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, მრავალჯერადი პოლიციის მხრიდან განხორციელებული კანონიერი მოთხოვნების მიუხედავად იგი კვლავ არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს არ ემორჩილებოდა პოლიციის მოთხოვნას რის შემგომაც დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით.“

ამავე ოქმის მიხედვით, ზურაბ ბერძენიშვილის მიმართ სამართალდარღვევის ოქმი შედგა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი

ხულიგნობა) და 173-ე (პოლიციის კანონიერი მოხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლებით.

2019 წლის 21 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ვალერიანე ფილიშვილმა ზურაბ ბერძენიშვილი ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ასკ-ის 173-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და მას სანქციის სახედ და ზომად განუსაზღვრა 7 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა. ამასთან, მოსამართლემ დაკავების ვადის ნაწილი ერთი სრული დღე (24 საათი) ჩაუთვალა მოხდილად, ხოლო მოსახდელ ვადად განუსაზღვრა 6 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა.

ამასთანავე, მოსამართლემ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის არ არსებობის გამო ზურაბ ბერძენიშვილი არ ცნო სამართალდამრღვევად ასკ-ის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში და ამ ნაწილში შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება ზურაბ ბერძენიშვილის სამართალდამრღვევად ცნობის ნაწილში არის უკანონო და დაუსაბუთებელი შემდეგ მიზეზთა გამო:

დადგენილება უკანონოა, რადგან ეფუძნება ფორმალურად უკანონო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმს. კერძოდ, ასკ-ის 240-ე მუხლი ადგენს სამართალდარღვევის ოქმის არა მხოლოდ ფორმალური, არამედ მისი მატერიალური კანონიერების საკითხებს. ამ მუხლის თანახმად სამართალდარღვევის ოქმი უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსს. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი კი პირდაპირ კავშირშია ოქმის მატერიალურ კანონიერებასთან. სამართალდარღვევის არსი არის სწორედ ის მოცემულობა, რაც ზღუდავს სასამართლოს მისი ფარგლებით და უკრძალავს, გადაწყვეტილების მიღებისას გასცდეს მის ფარგლებს. მართალია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს ინკვიზიციურობის პრინციპი, თუმცა, ინკვიზიციურობის პრინციპის გამოყენების არსი მდგომარეობს ამ შემთხვევაში პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებების დაცვისკენ მიმართულ ქმედებებს რამაც უნდა დააბალანსოს სახელმწიფოს, როგორც დიდი რესურსის მქონე პროცესის მონაწილის/მხარის დომინანტური მდგომარეობა. ამასთან, გადაწყვეტილებაში სასამართლოს შეზღუდვა სამართალდარღვევის ოქმის შინაარსით, გულისხმობს სასამართლოს შესაძლებლობის გამორიცხვას არ შექმნას ახალი სამართალდარღვევა, არამედ დაადასტუროს ან გამორიცხოს იმ სამართალდარღვევის არსებობა რასაც ოქმის ავტორი ასეთად მიიჩნევს.

ზურაბ ბერძენიშვილის შემთხვევაში, ზემოთ მოყვანილი ციტირება სამართალდარღვევის ოქმიდან შეუძლებელს ხდის გონიერმა ადამიანმა შეძლოს და გაიგოს რაში გამოიხატა ზურაბის სამართალდარღვევა. ანუ, რა იყოს ქმედების არსი რასაც შეიძლება სამართალდარღვევის კვალიფიკაცია მინიჭებოდა. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ დაკავების

ოქმში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართალდაღვევის ოქმში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები არ ემთხვევა ერთმანეთს.

დაკავების ოქმის მიხედვით დამკავებელი პირი ზურაბის ქმედებას სულ სხვაგვარად აღწერს და მსჯელობას ორი მიმართულებით ავითარებს:

1. ზურაბ ბერძენიშვილს თითქოსდა ბლოკირებული ჰქონდა საქართველოს პარლამენტის შენობის შესასვლელი და ის არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას გაეთავისუფლებინა შესასვლელი;
2. ზურაბ ბერძენიშვილი იგინებოდა უმისამართოდ და ის არ დაემორჩილა კანონიერ მოთხოვნას დამშვიდებულიყო, რადგან გინება საზოგადოებრივ თავშეყრისა ადგილში იყო სამართალდარღვევა და ის არ დაემორჩილა ამ მოთხოვნას.

იგივე დაადასტურა სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა პირმა თავის ახსნა განმარტებაში. უფრო მეტიც, ოქმის შემდგენმა პირმა აღნიშნა, რომ ზურაბ ბერძენიშვილი აგინებდა ბიძინა ივანიშვილს და ეს იყო სამართალდარღვევის არსი.

აქვე, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ დაკავების ოქმში N000049138 დამკავებელი პირი ვინ არის ზურაბ ბერძენიშვილის, არ ჩანს. ოქმში მხოლოდ ოქმის შემდგენია მითითებული, რაც ქმნის საფუძველს ვიფიქროთ, რომ დამკავებელს, ანუ პირს რომელმაც თითქოსდა დაინახა ზურაბის მიერ კონკრეტული ქმედების ჩადენა და შემდგომ უკვე სამართლებრივი შეფასება მისცა მას, სასამართლოში პოზიცია არ დაუფიქსირებია. ამიტომ, ერთი შეხედვით ეს ორი ფორმალური კრიტერიუმი სამართალდარღვევის ოქმის, რასაც ეყრდნობა მოსამართლის დადგენილებაც, სცდენა მისი ფორმალურ ხასიათს და გადაიზრდება მატერიალურ მნიშვნელობაში. ანუ, სასამართლოს პროცესის მიმდინარეობისას არ ჰქონია საშუალება ემსჯელა ქმედების არსზე, რადგან, სასამართლოსთვის ქმედების შესახებ ინფორმაცია არ მიუწვდია იმ პირს ვინც შეესწრო ზურაბის ქმედებას და სამართლებრივი შეფასება მისცა მას.

როგორც აღინიშნა, წვრილმანი ხულიგნობის არსებობა სასამართლომ გამოიციხა. შესაბამისად დარჩა ერთი გარემოება - ზურაბ ბერძენიშვილი არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას გაეთავისუფლებინა პარლამენტის შენობის შესასვლელი, რომელიც მის მიერ იყო ბლოკირებული. აღნიშნული ქმედების არსი სამართალდარღვევის ოქმში არ არის აღწერილი. სამართალდარღვევის ოქმში წერია, რომ ზურაბი არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და ის არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას შეეწყვიტა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, როგორც ცალკე სამართალდარღვევა კოდექსში არ გვხვდება, საზოგადოებრივი წესრიგი ადამიანმა კონკრეტული ქმედებით შეიძლება დაარღვიოს. ამასთან, თუ პოლიციელების შეფასებით ზურაბის ქმედება იყო დაუმორჩილებლობა პარლამენტის შენობის შესასვლელის ბლოკირებისგან გათავისუფლებაზე, მაშინ ეს კიდევ სხვა სამართლებრივი შეფასებისა და მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს. კერძოდ, მსგავსი ქმედების შესაძლო სამართლებრივი კვალიფიკაციისთვის კანონმდებელი სხვა კონკრეტულ ნორმებსაც იცნობს, რის დარღვევასაც პოლიცია ზურაბ

ბერძენიშვილს არც ედავება (ასკ-ის 174¹). შესაბამისად, ოქმის შემდგენის აღქმა ზურაბ ბერძენიშვილის ქმედების და მისი სამართლებრივი შეფასება აცდენილია ერთმანეთს და შესაბამისად, სასამართლომ ზურაბ ბერძენიშვილის ქმედებასაც მისცა არასწორი კვალიფიკაცია. უფრო მეტიც, შსს-ს წარმომადგენლებმა ახსნა განმარტებისა და მტკიცებულების გამოკვლევის ეტაპზე აღნიშნეს, რომ ზურაბ ბერძენიშვილს არ ჰქონდა ბლოკირებული საქართველოს პარლამენტის შენობის შესასვლელი, არამედ ის იმყოფებოდა იმ აქციაზე, რომლის ფარგლებშიც ბლოკირებული იყო პარლამენტის შესაშვლელი რაც მის აქციაზე ყოფნასაც იმავე შინაარს სძენდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების ეს ლოგიკა, სცდება სამართლის უზოგადეს - ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს. პირმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ ქმედებისთვის, რაც მან ჩაიდინა. ასეთი ლოგიკა მსჯელობის გულისხმობს კოლექტიურ პასუხისმგებლობას, და იმის დადასტურებას, რომ ზურაბ ბერძენიშვილი დაისაჯა კოლექტიური ბრალის ფარგლებში. ოქმის შემდგენ ორგანოს/პირს უნდა დაედასტურებინა ზურაბ ბერძენიშვილის ინდივიდუალურ ქცევაში სამართალდარღვევის არსებობა, რაც სასამართლოს წინაშე არ მომხდარა.

სასამართლომ, ზურაბ ბერძენიშვილთან მიმართებით გამოიკვლია სამართალდარღვევის ოქმი, მისი შემდგენის ახსნა-განმარტება (რაც არის ერთი მტკიცებულება, რადგან სამართალდამრღვევის ოქმში გადმოსცემს იმას რასაც შეესწრო) და გამოიკვლია ორი ვიდეო მტკიცებულება. ერთ ვიდეოში, ზურაბი ზის 9 აპრილის ქუჩაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ის წინ უდგას შსს-ს სპეციალურ ძალებს ისე რომ მისი მხრიდან ადგილი არ აქვს რაიმე ძალდობრივ ან აქტიურ ქმედებას პოლიციის თანამშრომლების მიმართ.

არცერთ მტკიცებულება არ ადასტურებს ზურაბ ბერძენიშვილის მიერ პარლამენტის შენობის შესასვლელის ბლოკირებას ან მისი მხრიდან, პარლამენტის შენობის შესასვლელის ბლოკირების მოხსნის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას.

სასამართლოზეც, როგორც დაცვის მხარე ვაპელირებდით და გვსურს სააპელაციო სასამართლოს ყურადღებაც გავამახვილოთ, არის ის, რომ სამართალდარღვევა რომლის ჩადენასაც შსს ედავება ზურაბ ბერძენიშვილს თავისი ბუნებით არის სისხლისსამართლებრივი ბრალდების ტოლფასი. კერძოდ,

საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქმე გვაქვს ფორმალური თვალსაზრისით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან, სანქცია - 15 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების გამო მისი შინაარსი აღწევს სისხლისსამართლებრივს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკის თანახმად, ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად აღიარება *a priori* არ მიუთითებს პირისათვის

ნაკლები პროცესუალური გარანტიების მინიჭებაზე. „ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დანაშაულის მსგავსად, წარმოადგენს სამართლებრივად გასაკიცხ ქმედებას, რასაც მოჰყვება საჯარო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფოს საპასუხო მოქმედება.“ (აქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის #2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ პარ. 27) „კანონმდებელი განსაზღვრავს ქმედების საშიშროების ხარისხს და ადგენს შესაბამის სანქციებს. ამავე დროს, არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ ამა თუ იმ ქმედებისათვის გათვალისწინებული სანქციის მოცულობა მიუთითებს მისი საზოგადოებრივი საშიშროების და გასაკიცხაობის ხარისხზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო სამართალურთიერთობის მიზნებისათვის სამართალდარღვევის სიმძიმე უნდა განისაზღვროს შესაბამისი ქმედებისთვის დადგენილი **პასუხისმგებლობის ზომით**. კერძოდ, პასუხისმგებლობის სიმკაცრე პირდაპირ არის დაკავშირებული ქმედების უმართლობის, გასაკიცხაობის ხარისხთან და საწინააღმდეგოს დადასტურებამდე ივარაუდება, რომ პასუხისმგებლობის ზომა არის ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროპორციული. ... სანქციისგან დამოუკიდებლად (მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც სანქცია საერთოდ არ გამოიყენება) პირის სამართალდამრღვევად ცნობას უკავშირდება მისი გაკიცხვა, რაც ასევე წარმოადგენს ზემოქმედების ფორმას. ამდენად, პირის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სანქციის მოცულობა არ იძლევა სრულ სურათს მისი უფლებების შეზღუდვის სიმძიმის წარმოსაჩენად. **მძიმე სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალეულად ცნობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის მძიმე ფორმას**, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული იქნეს მსუბუქი სანქცია.“ (იქვე. პარ. 29) შემდგომ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩარევის სიმძიმის მიხედვით იცვლება პროცედურული გარანტიების ხარისხიც. „ამასთანავე სხვადასხვა სიმძიმის პასუხისმგებლობის დაკისრების მიმართ შესაძლებელია არსებობდეს განსხვავებული პროცედურული გარანტიები“ (იქვე. პარ. 30) შესაბამისად, რაც უფრო მძიმე და ინტენსიურია პირის უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევა, მით მეტი პროცესუალური გარანტიაა საჭირო.

ამ მხრივ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ინოვაციური არ არის. აღნიშნულ მიდგომას იზიარებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოც. აღნიშნული სტანდარტი ევროპულმა სასამართლომ ჯერ კიდევ 1976 წელს საქმეში *Engel and Others v. The Netherlands* დაამკვიდრა. სასამართლო საკუთარი თანმიმდევრული პრაქტიკის ფარგლებში მიუთითებს, რომ მიუხედავად შიდა კანონმდებლობით ქმედებისათვის ადმინისტრაციული ხასიათის მინიჭების ფაქტისა, თუკი გათვალისწინებული სანქცია მის უფლებაში დიდი ინტენსივობით იჭრება (თავისუფლების აღკვეთა, მაღალი ფინანსური სანქცია), მას აუცილებლად უნდა მიენიჭოს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი გარანტიები. (*Engel and Others v. The Netherlands*, განაცხადი # 100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; [5370/72](#), 1976 წლის 23 ნოემბერი; *Campbell and Fell*, განაცხადი # 7819/77; [7878/77](#), 1984 წლის 28 ივნისი; *Weber v. Switzerland*, განაცხადი # 11034/84 , 1990 წლის

22 აპრილი, *Ziliberberg v. Moldova*, განაცხადი # 61821/00, 2005 წლის 1 თებერვალი; *Sergey Zolotukhin v. Russia*, განაცხადი # 14939/03, 2009 წლის 10 თებერვალი)

ფორმალურად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად აღიარებულ ქედებაზე სისხლის სამართლის სტანდარტის გავრცელება გულისხმობს ყველა იმ გარანტიით აღჭურვას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიემული პირისა, რაც აქვს ბრალდებულს სისხლის სამართლის პროცესში.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით 82(2)-ე მუხლის მიხედვით „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა.“ ამავე კოდექსის ს მე-3(13) მუხლის მიხედვით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი ესაა „სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა პირის ბრალეულობაში“

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5(2) მუხლის მიხედვით „არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს. ბრალმდებელს უფლება აქვს, უარი თქვას ბრალდებაზე.“ ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6(2) მუხლი კატეგორიულად მოითხოვს სახელმწიფოსაგან, რომ ამგვარი დევნის შემთხვევაში თავად ატაროს მტკიცების ტვირთი. (*Capeau v. Belgium*, განაცხადი #42914/98, 13 იანვარი 2005, პარა.; *Navalnyy and Ofitserov v. Russia*, განაცხადი #46632/14, 23 თებერვალი 2016, პარ. 105). გარდა ამისა, ხაზგასასმელია, რომ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სტანდარტი იდენტურია კონვენციისთვისაც - „გონივრულ ეჭვს მიღმა“, რაც დაფუძნებულია უტყუარ მტკიცებულებათა (მინიმუმ 2) ერთობლიობაზე. (*Nachova and Others v. Bulgaria [GC]*, განაცხადი #43577/98, 6 ივლისი 2005)

გარდა ამისა, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შემთხვევებს, როდესაც სახეზეა მხოლოდ პოლიციელის ჩვენება, ან პოლიცია იცავს მისი წყაროს კონფიდენციალურობას. სასამართლოს მითითებით ამ შემთხვევაში სახელმწიფოს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს და ვალდებულია გულისყურით შეამოწმოს ყველა ფაქტი, რომელიც პოლიციელის ჩვენებაშია, გადაამოწმოს მისი სანდობა და შესაბამისობა

რეალობასთან. პოლიციელის მიერ მიცემული ზედაპირული ჩვენება საკმარისი წყარო არ არის. (Donohoe v. Ireland, განაცხადი # 19165/08, 12 დეკემბერი 2013; Schenk v. Switzerland, განაცხადი #10862/84, 12 ივლისი 1988).

შესაბამისად, ზურაბ ბერძენიშვილის მიერ იმ ქმედების ჩადენა, რომელსაც ედავება შინაგან საქმეთა სამინისტრო არ დასტურდება ერთმანეთთან შეთანხმებული უტყუარი მტკიცებულებებით, ამასთან ის არ დასტურდება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი პირდაპირი მტკიცებულებით. რაც გულისხმობს, რომ ოქმის შემდგენი ორგანო/პირი ვერ სწევს ზურაბ ბერძენიშვილის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის მტკიცების ტვირთს. მიუხედავად ამისა, პირველი ინსტანციის მოსამართლე, ვალერიანე ფილიშვილმა ბერძენიშვილის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი დადასტურებულად მიიჩნია.

ზურაბ ბერძენიშვილის ქმედება, როდესაც ის დგას ასამდე სრულად ეკიპირებული პოლიციელის ფარების წინ, მარტო, მხრებზე საქართველოს დროშა შემოხვეული, ეს არ არის მისი სპონტანური ემოცია. ეს იყო მისი გააზრებული პროტესტი. პროტესტი მისი გადმოსახედიდან მატყუარა პოლიტიკოსებისადმი, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან. ეს იყო პროტესტი იმის შესახებ, რომ ის მოატყუეს და როდესაც მან, როგორც აქტიურმა მოქალაქემ ხელისუფლებისგან პასუხი მოითხოვა, პასუხად ძალა მიიღო. დიახ, ზურაბ ბერძენიშვილის საქართველოს დროშის მხრებზე შემოხვევა, ხელში სასტვენის დაკავება სტვენა, როგორც განგაშის სიმბოლო, ასეულობით სპეციალურად აღჭურვილი პოლიციელების წინ ქუჩაზე მარტო დგომა ან ჯდომა, არის გაბედული ნაბიჯი, რომელიც მისი, როგორც მოქალაქისადმი, მისი გაბედულებისადმი, მხოლოდ პატივისცემის იმსახურებს.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს შეკრებისა და მანიფესტაციის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებაში. შეკრება მანიფესტაცია, როგორც გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ადამიანის ხელში - გამოხატოს და მიაწვდინოს ხმა პროტესტის ადრესატს იმ სიმწვავეთ, რაც შესაძლებელს გახდის ცვლილებებს საზოგადოებაში. ამიტომ, ხელისუფლებები და განსაკუთრებით სასამართლო ფრთხილად უნდა მოეკიდნენ გამოხატვის ამ ფორმის შეზღუდვას, რათა არ დააზიანონ ის ძირითადი ადამიანის უფლებები, რომელიც მას ბუნებით აქვს მინიჭებული. ხელისუფლებების ქმედებები, მიმართული უნდა იყოს არა ადამიანის უფლებების შეზღუდვის, არამედ მათი დაცვისკენ და არ უნდა ტოვებდეს განცდას, რომ ეს ქმედებები ნაკარნახევა არა სწორედ ადამიანის უფლებების დაცვის, არამედ იმ ძალაუდლების შესანარჩუნებლად, რომელიც თავად ამ ადამიანება მიაჩნის. 19 ნოემბრის აქციის დაშლა ტოვებს სწორედ ასეთ განცდას ობიექტურ დამკვირვებელში. ხელისუფლება ცდილობს ჩაახშოს ლეგიტიმური პროტესტი ხელისუფლებისვე გაუმართლებელი, დემოკრატიული საზოგადოებისთვის შეუთავსებელი ქმედებების გამო. უფრო მეტიც, 19 ნოემბერს ლეგიტიმური პროტესტის მქონე მანიფესტანდების დაშლა ცალსახად ტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომ ხელისუფლების ქმედებები მიმართული იყოს არა გამოხატვის ფორმის, არამედ მისი შინაარსის წინააღმდეგ. ამასთან, ცალსახაა, რომ პროტესტის შინაარსის საპასუხოდ გაუმართლებლად დიდი საპოლიციო ძალის გამოყენებით, ხელისუფლება ცდილობს გამყინავდ იმოქმედოს საზოგადოებაზე და ჩაახშოს ლეგიტიმური პროტესტი მისი ქმედებების მიმართ, რაც რა თქმა უნდა შეუთავსებელია დემოკრატიის მოთხოვნებთან.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გვსურს სააპელაციო სასამართლოს ყურადღება გავამხვილოთ მასზედ, რომ დაკავების ოქმის მიხედვით, ზურაბ ბერძენიშვილი დააკავა 19 ნოემბერს 17:20 სთ-ზე. ამასთან, მისი საქმის განხილვა გაგრძელდა 21 ნოემბერს ღამის საათებამდე, მანამდე სანამ მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილმა, არ გადაწყვიტა, რომ გადაედო საქმის განხილვა მეორე დღისთვის, ხოლო დაკავებული პირები გაეთავისუფლებინა ადმინისტრაციული დაკავებიდან. ანუ, ზურაბ ბერძენიშვილის დაკავების დრო გაცილებით, დაახლოებით 10 საათით აღემატებოდა 24 საათს. მიუხედავად ამისა, ვალერიანე ფილიშვილმა ზურაბ ბერძენიშვილისთვის შეფარდებული 7 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობიდან მოხდილად ჩათვალა მხოლოდ 24 საათი. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ თუ სააპელაციო სასამართლო მიუხედავად დაცვის მხარის ზემოთ მოყვანილი საფუძვლიანი არგუმენტებისა, არ შეწყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას ზურაბ ბერძენიშვილის მიმართ, მან აუცილებლად უნდა გადახედოს ზურაბ ბერძენიშვილისთვის შეფარდებული სახდელის სამართლიანობასა და კანონიერებას და ზურაბ ბერძენიშვილს გამოუცხადოს მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნა, ან მინიმუმ შეფარდებული 7 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობიდან, მოხდილად ჩათვალოს 24 საათზე მეტი - 19 ნოემბრის 17:20 საათიდან ვალერიანე ფილიშვილის მიერ პროცესის გადადებისა და ბერძენიშვილის დაკავებიდან გათავისუფლების პერიოდი სრულად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სადავო დადგენილება არის უკანონო, დაუსაბუთებელი და ის უნდა გაუქმდეს, ამასთან უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის, ზურაბ ბერძენიშვილის მიმართ.

საჩივარი არის წარმოდგენილი კანონით დადგენილ 48 სთ-იან გასაჩივრების ვადაში და აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივრისთვის საქართველოს ასკ-ით დადგენილ ყველა ფორმალურ კრიტერიუმს.

პატივისცემით,

ზურაბ ბერძენიშვილი

ედუარდ მრიკაშვილი

22.11.2019